

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2022 წლის 11 აგვისტო

ქ.მარნეული

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №41 დადგენილებაში ცვლილების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მარნეულის მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 03/12/2021, №190020020.35.159.016481) და

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარებში“

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		მათ შორის		მათ შორის		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		
შემოსავლები	33274,9	41616,9	33873,0	7743,8	50743,0	42405,1	8337,9
გადასახადები	18914,4	24188,7	24188,7	0,0	30035,0	30035,0	0,0
გრანტები	9340,4	8293,8	550,0	7743,8	8592,0	254,1	8337,9
სხვა შემოსავლები	5020,1	9134,3	9134,3	0,0	12116,0	12116,0	0,0
ხარჯები	19241,8	23322,1	22396,3	925,8	31477,1	30236,4	1240,8
შრომის ანაზღაურება	3646,1	3906,6	3819,7	86,9	5853,3	5664,9	188,4
საქონელი და მომსახურება	3638,4	4893,4	4220,8	672,6	6460,9	5644,0	816,8
პროცენტი	45,0	32,4	32,4	0,0	32,8	32,8	0,0
სუბსიდიები	9151,0	11286,9	11123,1	163,8	14633,0	14532,5	100,5



გრანტები	48,9	45,0	45,0	0,0	55,0	55,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	2162,4	2911,3	2908,8	2,5	2816,5	2811,5	5,0
სხვა ხარჯები	549,9	246,5	246,5	0,0	1625,7	1495,7	130,0
საოპერაციო საღდო	14033,2	18294,7	11476,7	6818,0	19265,9	12168,8	7097,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	14366,5	14651,3	8382,0	6269,3	27994,3	19978,1	8016,2
ზრდა	15173,7	15530,4	9261,2	6269,3	28562,9	20546,6	8016,2
კლება	807,1	879,2	879,2	0,0	568,5	568,5	0,0
მთლიანი საღდო	-333,4	3643,5	3094,7	548,7	-8728,5	-7809,3	-919,1
ფინანსური აქტივების ცვლილება	-483,5	3580,8	3032,0	548,7	-8791,2	-7872,0	-919,1
ზრდა	159,6	3580,8	3032,0	548,7	0,0	0,0	0,0
კლება	643,0	0,0	0,0	0,0	8791,2	7872,0	919,1
ვალდებულებების ცვლილება	-150,1	-62,7	-62,7	0,0	-62,7	-62,7	0,0
კლება	150,1	62,7	62,7	0,0	62,7	62,7	0,0
საშინაო	150,1	62,7	62,7	0,0	62,7	62,7	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:“

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	სულ	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	34082,1	42496,0	34752,2	7743,8	51311,5	42973,6	8337,9
შემოსავლები	33274,9	41616,9	33873,0	7743,8	50743,0	42405,1	8337,9
არაფინანსური აქტივების კლება	807,1	879,2	879,2	0,0	568,5	568,5	0,0
გადასახდელები	34565,6	38915,3	31720,2	7195,1	60102,7	50845,7	9257,0



ბარჯები	19241,8	23322,1	22396,3	925,8	31477,1	30236,4	1240,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	15173,7	15530,4	9261,2	6269,3	28562,9	20546,6	8016,2
ვალდებულებების კლება	150,1	62,7	62,7	0,0	62,7	62,7	0,0
ნაშთის ცვლილება	-483,5	3580,8	3032,0	548,7	-8791,2	-7872,0	-919,1

3. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 50743,0 ათასი ლარის ოდენობით:“

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	საკუთარი შემოსავლები	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	33274,9	41616,9	33873,0	7743,8	50743,0	42405,1	8337,9
გადასახადები	18914,4	24188,7	24188,7	0,0	30035,0	30035,0	0,0
გრანტები	9340,4	8293,8	550,0	7743,8	8592,0	254,1	8337,9
სხვა შემოსავლები	5020,1	9134,3	9134,3	0,0	12116,0	12116,0	0,0

4. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 30035,0 ათასი ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარებში“

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
გადასახადები	18914,4	6781,4	30035,0
გადასახადები ქონებაზე	5965,1	6781,4	7220,0
გადასახადები უძრავ ქონებაზე	5965,1	6781,4	7220,0
ქონების გადასახადი	5965,1	3027,2	7220,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2604,4	48,7	4014,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	37,0	64,3	55,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	68,9	2251,1	28,0



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1976,4	1390,2	1852,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	1278,3	17407,3	1271,0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	12949,3	17407,3	22815,0
დამატებული ღირებულების გადასახადი	12949,3	6781,4	22815,0

5. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8592,0 ათასი ლარის ოდენობით.

თანხა ათას ლარებში“

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
გრანტები	9340,4	8293,8	8592,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	254,1
მიმდინარე	0,0	0,0	3,1
კაპიტალური	0,0	0,0	251,0
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	9340,4	8293,8	8337,9
მიმდინარე	1774,0	690,8	1018,8
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	1774,0	690,8	1018,8
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	1774,0	690,8	1018,8
მიზნობრივი ტრანსფერი კანონის ფარგლებში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	237,4	250,0	280,0
მიზნობრივი ტრანსფერი (საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება)	384,9	440,8	738,8
მიზნობრივი ტრანსფერი (საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები)	151,7	0,0	0,0
საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული სპეციალური ტრანსფერი	1000,0	0,0	0,0
კაპიტალური	7566,4	7603,0	7319,0
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	7566,4	7603,0	7319,0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	7566,4	7603,0	7189,0
სოფლის ხელშეწყობის პროგრამა	1232,0	1232,0	1232,0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5984,4	5821,0	5957,0
„საერთაშორისო პარტნიორობთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერის“ პროგრამა	350,0	550,0	0,0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	0,0	0,0	130,0



6. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 12116,0 ათასი ლარის ოდენობით.“

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
სხვა შემოსავალი	5020,1	9134,3	12116,0
შემოსავალი საკუთრებიდან	1397,9	1746,1	2956,3
პროცენტი	431,3	761,5	1381,8
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	431,3	761,5	1381,8
რენტა	966,6	984,6	1574,5
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	854,9	861,7	1399,5
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	109,1	120,4	175,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2149,3	4761,0	4730,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2140,4	4763,1	4724,0
სანებართვო მოსაკრებლები	184,9	606,1	450,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	6,6	10,8	8,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1775,0	3930,0	4042,0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	173,9	216,1	224,0
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	9,0	-2,0	6,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	9,0	-2,0	6,0
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	9,0	-2,0	6,0
სანქციები , ჯარიმები და საურავები	1357,2	2391,4	4054,3
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	115,70	235,8	375,4

7. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 31477,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:“

თანხა ათას ლარებში

	2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა	
	2020	მათ შორის	მათ შორის	



დასახელება	წლის ფაქტი	სულ	წლის ფაქტი		სულ	წლის ფაქტი	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	19241,8	23322,1	22396,3	925,8	31477,1	30236,4	1240,8
შრომის ანაზღაურება	3646,1	3906,6	3819,7	86,9	5853,3	5664,9	188,4
საკონელი და მომსახურება	3638,4	4893,4	4220,8	672,6	6460,9	5644,0	816,8
პროცენტი	45,0	32,4	32,4	0,0	32,8	32,8	0,0
სუბსიდიები	9151,0	11286,9	11123,1	163,8	14633,0	14532,5	100,5
გრანტები	48,9	45,0	45,0	0,0	55,0	55,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	2162,4	2911,3	2908,8	2,5	2816,5	2811,5	5,0
სხვა ხარჯები	549,9	246,5	246,5	0,0	1625,7	1495,7	130,0

8.მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 27994,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 28562,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:“

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	89,4	360,9	2106,9
0101	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	89,4	360,9	2106,9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13441,2	11762,3	23656,2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5928,9	5016,4	11698,3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	4471,1	3830,9	8360,2
02 03	გარე განათება	287,4	188,4	5,4
0204	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1311,0	1198,8	299,7
02 07	კეთილმოწყობა	204,4	254,7	955,6
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	7,8	64,0	1052,9
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1230,5	1209,0	1284,1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	345,3	194,7	863,9
0301	დასუფთავება, ნარჩენების მართვა და სხვა გარემოს დაცვითი საქმიანობა	6,0	2,7	14,9
0302	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	339,3	192,0	849,0



04 00	განათლება	630,3	1470,6	666,6
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4,5	0,0	2,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	145,6	1468,6	664,6
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	480,1	2,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	455,8	1739,6	1239,2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	443,0	1707,1	1191,2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	12,8	32,5	48,1
06 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	211,7	2,3	30,0
060101	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	2,5	2,3	6,3
060102	კაპიტალდაბანდებები საზოგადოებრივი ჯანდაცვაში	209,2	0,0	23,7
სულ ჯამი		15,173,7	15530,4	28562,9

ბ) განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 568,5ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	807,1	879,2	568,5
ძირითადი აქტივები	569,3	215,6	155,0
არაწარმოებული აქტივები	237,8	663,6	413,5
მიწა	237,8	663,6	413,5

9. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში, თანდართული რედაქციით:“

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
701	I.საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5604,8	6326,0	11139,4
7011	ადმსარეულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5409,7	6230,9	11041,0
70111	ადმსარეულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5409,7	6230,9	10691,0
	წარმომადგენლობითი ორგანო	1343,7	1529,3	2214,3
	ადმსარეულებელი ორგანო	4066,0	4701,6	8476,6



70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	350,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	195,08	95,08	98,48
702	II. თავდაცვა	193,9	193,0	280,9
7021	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	193,9	193,0	280,9
704	IV. ეკონომიკური საქმიანობა	9623,3	8973,8	17283,4
70421	სოფლის მეურნეობა	38,5	13,0	2120,6
7045	ტრანსპორტი	8292,9	7628,0	13800,8
70451	სავტომობილო ტრანსპორტი და გზები	8292,9	7628,0	13800,8
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1291,8	1332,9	1362,1
705	V. გარემოს დაცვა	2218,8	2813,8	3403,8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1976,2	2086,5	3242,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	242,7	727,3	161,9
706	VI. საბინაო კომუნალური მეურნეობა	7554,7	8000,3	13494,3
7061	ბინათმშენებლობა	1,1	61,4	762,6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	238,2	282,4	1080,6
7063	წყალმომარაგება	5758,4	5553,1	8552,8
7064	გარე განათება	1543,4	1860,2	1965,4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	13,6	243,2	1132,9
707	VII. ჯანმრთელობის დაცვა	408,9	197,9	326,6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	408,9	197,9	326,6
708	VIII. დასვენება, კულტურა და რელიგია	3095,3	4741,4	5631,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1545,3	3018,6	3142,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	989,8	1089,4	1814,0
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	116,5	103,3	145,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	406,0	507,0	420,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	37,7	23,1	110,0
709	IX. განათლება	3496,9	4856,1	5795,4
7091	სკოლამდელი განათლება	2626,8	4251,9	4994,6
7092	ზოგადი განათლება	870,1	604,2	800,8
710	X. სოციალური დაცვა	2368,9	2812,9	2747,7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	1510,3	2192,8	2037,7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	855,4	617,6	705,0



7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3,1	2,5	5,0
	სულ	34565,6	38915,3	60102,7

10. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო“

დასახელება	2020 წელი (ფაქტი)	2021 წელი (ფაქტი)	2022 წელი (გეგმა)
საოპერაციო სალდო	14033,2	18294,7	19265,9
მთლიანი სალდო	-333,4	3643,5	-8728,5

11. მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ცხრილი და „ა“, „ა.ბ“, „ბ“, „ბ.ა“, „ბ.ბ“, „ბ.დ“, „გ“, „გ.ბ“, „დ“, „დ.ა“, „ე“, „ე.ა“ და „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროგ	რამული დასახელება	კოდი	რიცხოვნობა	2022 წელი			2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
				სულ	ადგილობრივი	ტრანსფერი			
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება			12351,1	6828,4	5522,7	9115,0	10383,1	13654,0
020101	გზებისმიმდინარეშობა შენახვა			652,7	652,7	0,0	490,6	450,0	450,0
020102	გზებისმშენებლობადარეაბილიტაცია			11698,3	6175,6	5522,7	8624,5	9933,1	13204,0
0202	წყლის სისტემების განვითარება			10835,2	9993,6	841,6	1380,0	2330,0	2280,0
020201	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია			2355,0	2355,0	0,0	1355,0	1305,0	1255,0
020202	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია			6197,8	5462,1	735,7	0,0	0,0	0,0
020203	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის განვითარება და მოვლა შენახვა			161,9	161,9	0,0	25,0	25,0	25,0
020204	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია			2120,6	2014,7	105,9	0,0	1000,0	1000,0
0203	გარეგანათება	7		1965,4	1965,4	0,0	2010,0	2010,0	2010,0
020301	გარეგანათებისქსელისმოვლა- შენახვა	7		410,0	410,0	0,0	410,0	410,0	410,0
020302	გარეგანათებისქსელისმოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი			1550,0	1550,0	0,0	1600,0	1600,0	1600,0
020303	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა			5,4	5,4	0,0	0,0	0,0	0,0
0204	მუნიციპალურიტრანსპორტისგანვითარება			1449,7	1449,7	0,0	2560,0	3560,0	4396,9
020401	მუნიციპალურისატრანსპორტისსისტემისსუბსიდირება			1150,0	1150,0	0,0	560,0	560,0	560,0
020402	მუნიციპალურიტრანსპორტისგანახლება			299,7	299,7	0,0	2000,0	3000,0	3836,9



0207	კეთილმოწყობა		1923,2	1923,2	0,0	1151,9	5095,7	5095,7
020701	საზოგადოებრივის სერვისების მოწყობა-რეაბილიტაცია		1080,6	1080,6	0,0	1101,9	4072,0	4072,0
020702	შენობების ფასადების რეაბილიტაცია		762,6	762,6	0,0	0,0	973,7	973,7
020703	სადღესასწაულო ღონისძიებები		80,0	80,0	0,0	50,0	50,0	50,0
0208	სარიტუალო ღონისძიებები		1052,9	1052,9	0,0	0,0	0,0	0,0
020801	სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა		6,0	6,0	0,0	0,0	0,0	0,0
020802	სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა		1046,9	1046,9	0,0	0,0	0,0	0,0
0209	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები		1362,1	109,2	1252,9	0,0	0,0	0,0
	სულ		30939,6	23322,4	7617,2	16216,9	23378,8	27436,6

„ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
0201			12351,1
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარის ფართობი დღეის მდგომარეობით შედგენს 540 კვ. კმ . საგზაო სტანდარტებს აკმაყოფილებს მხოლოდ 50 პროცენტი, მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთიანი მოცულობის 20 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს, ზამთარში მარილის მოყრას, ასევე გზების დახაზვა, შუქნიშნების მონტაჟი და სიჩქარის შემზღვეველი ბარიერების მოწყობა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება, შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა		

ა.ბ.) გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
020102			11698,3
	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, 2022 წლისთვის იგეგმება დაახლოებით 37600 კვ.მ გზის მშენებლობა რეაბილიტაცია. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესყიდვა და რეაბილიტირებული პროექტების ზედამხედველობა.</p> <p>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 268,559 ლარი, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფელ კაჩაგანის შიდა გზების მოასფალტება-34.445 ლარი; • სოფ. ქეშალოს და ალგეთის მევენახეობის შიდა გზების მოასფალტება-29,990 ლარი; • სოფელ თამარისის შიდა გზების მოასფალტება-35,249 ლარი; • სოფელ შაუმთანის შიდა გზების მოასფალტება-19,000 ლარი; • სოფელ ზეგლიარის შიდა გზების მოასფალტება-28,100 ლარი; • სოფ. მარადისის შიდა გზის მოასფალტება-18,750 ლარი; • სოფელ ახლომხმუდლოს შიდა გზების მოასფალტება-24,945 ლარი; • სოფელ ენიქენდის შიდა გზების მოასფალტება-18,890 ლარი; • სოფ. ხონელის შიდა გზის მოასფალტება-17,841 ლარი; • სოფელ ოფრეთის შიდა გზების მოასფალტება-14,323 ლარი; • სოფელ სეიდგოჯალოს შიდა გზების რეაბილიტაცია-27,026 ლარი. <p>საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 5496,65 ათასი ლარი მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფელ კაჩაგანის შიდა გზების მოასფალტება-474,647 ლარი; 		



ქვეპროგრამის აღწერა	<ul style="list-style-type: none"> • კაპანახჩის ადმ.ერთეულის სოფლების(ალგეთის მეურნეობა და ქეშალო) შიდა გზის მოასფალტება -413,588; • სოფელ თამარისის შიდა გზების მოასფალტება-539,850 ლარი; • სოფელ შაუმინის შიდა გზების მოასფალტება-275,282 ლარი; • სოფელ ბეგლიარის შიდა გზების მოასფალტება412,200 ლარი; • სოფ. მარადისის შიდა გზის მოასფალტება -274,578 ლარი; • სოფელ ახლომახმუდლოს შიდა გზების მოასფალტება -323,053 ლარი; • სოფელ ენიქენდის შიდა გზების მოასფალტება-232,157 ლარი; • სოფ . ხობმელის შიდა გზის მოასფალტება -229,915 ლარი; • სოფელ ოფრეთის შიდა გზების მოასფალტება -201,138 ლარი; • სოფელ სეიდგოჯალოს შიდა გზების რეაბილიტაცია -346,378 ლარი, <p>. სოფელ ბეითარაფჩის გზის რეაბილიტაცია 621,254,</p> <p>.სოფელ ხანჯიგაზლოს შიდა გზების რეაბილიტაცია -502,237 ლარი,</p> <p>.სოფელ დიდი მულანლოს შიდა გზების რეაბილიტაცია-150,370 ლარი.</p> <p>.ქ. მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია -250 000 ლარი</p> <p>.სოფ საბირქენდში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია/მშენებლობა -300 000 ლარი.</p> <p>.სოფელ წერაქვში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია/მშენებლობა -200 000 ლარი.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2022 წლის 22 თებერვალი №321 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 276,055 ლარი მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფელ ალგეთის შიდა გზების მოასფალტება;
---------------------	---

ბ) წყლის სისტემების განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
0202			10835,2
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით წყალი მიეწოდება 11258 აბონენტს, დარჩენილი მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები. და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემები დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობა ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები და რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობამ შეძლოს წყლის ღირებულოების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება. ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები და კანალიზაციის სისტემა რადგან დღეის მდგომარეობით იგი ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივი და მოამტებელი ნალექის შემთხვევაში მის გატარებას.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა		

ბ.ა) სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
020201			2355,0
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება</p> <p>მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი 100%-ის წილის მქონე</p> <p>შ.პ.ს. "მარნეულის სოფწყალის" სუბსიდირება, რომელიც ახორციელებს</p> <p>მუნიციპალიტეტის 54 სოფლისათვის, 11258 აბონენტი, სასმელი წყლის</p>		



		მიწოდებას და სარწყავი წყლის სისტემით მომსახურებას. ხდება ქსელის დაზიანების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოები.	
ქვეპროგრამის		მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდება	
მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		შეუფერხებლად	
ბ.ბ) სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია			
კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
020202			6197,8
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეის მდგომარეობით წყალი მიეწოდება 11 258 აბონენტს, დარჩენილ მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება რადგან ზოგ შემთხვევაში გამოსულია მწყობრიდან და მოძველებულია წყლის სისტემები და ზოგ შემთხვევაში სისტემა საერთოდ არ არის და შესაბამისად ახალი სისტემებია დასამონტაჟებელი. მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ახალი სისტემების გაყვანა რათა მოსახლეობა ქონდეს ხარისხიანი და 24 საათიანი წყალმომარაგება. აგრეთვე დამონტაჟდეს მრიცხველები და რაც საშუალებას მოგვცემს მოსახლეობამ შეძლოს წყლის ღირებულების გადახდა და აკუმულირებული სახსრებით წყლის სისტემის მდგრადი ფუნქციონირება.</p> <p>2022 წლისათვის სასმელი წყალი უნდა მიეწოდებოდეს ყველა სოფელს. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება</p> <p>გათვალისწინებული იქნება პროექტის შესაბამისად :</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფელ გიულბახში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა-458,035 ლარი; საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით • გამოყოფილი თანხა მოხმარდება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: <ul style="list-style-type: none"> • სოფელ გიულბახში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა-210,386 ლარი; • სოფელ საბირქენდში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია -300 000 ლარი • სოფ წერაქვში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია/მშენებლობა -200 000 ლარი 		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი ეტაპობრივად უზრუნველყოფილია სასმელი წყლით</p>		
ბ.დ) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია			
კოდი	ქვეპროგრამის		2022 წლის დაფინანსება ათას ლარში



020204	დასახელება	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია	2120,6, მ.შ. ადგილობრივი 2014,7, ტრანსფერი 105,9
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სარწყავი წყლის სისტემის მოვლა შენახვა და საჭიროების მიხედვით ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, ასევე არსებული სისტემების რეაბილიტაცია.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		საირიგაციო ქსელი გამართულად ფუნქციონირებს, არ ხდება სარწყავი წყლის გადმოდინება გზის სავალ ნაწილზე	

გ) გარე განათება

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
0203			1 965,369
პროგრამის აღწერა		დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის საუკლებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი მოიცავს 15734 ბოძს, ამდენივე სანათს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: გარე განათების წერტილების (ქუჩები, მოედნები, პარკები, სკვერები, შენობა-ნაგებობები) მოვლა-ექსპლოატაცია და მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის დაფარვა; დასახლებული პუნქტების განათების სამუშაოები და ელენერჯის ქსელში ჩართვა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		უზრუნველყოფილია გარე განათების ქსელის გამართული მუშაობა და დამატებულია გარე განათების ახალი წერტილები	

გ.ბ) გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
020302			1550.0
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტროენერჯის ღირებულების გადახდას.	
ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება,			



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სანათების რეაბილიტაციის და კონტროლის ხარჯზე ერთი სანათის მიერ დახარჯული კილივატ/საათი ელექტრო ენერჯის შემცირება, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯების შემცირებას.
---	--

დ) მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
0204			1 449,700
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება და არსებული ავტოპარკის განახლება		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური ტრანსპორტი მუშაობს გამართულად, რეისები ხორციელდება შეფერხების გარეშე		

და.) მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალური	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
020401		სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	1150,0
ქვეპროგრამის აღწერა	არსებულ ეტაპზე მუნიციპალიტეტის ავტოპარკის ბალანსზე არის 21 სატრანსპორტო საშუალება (მ.შ. 17 ავტობუსი და 4 მიკროავტობუსი). ამჟამად შ.პ.ს. "მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი" 19 მარშუტზე ემსახურება 45 სოფელს. წლის განმავლობაში გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა შეადგენს საშუალოდ 1 160 000 მგზავრს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური ტრანსპორტი მუშაობს გამართულად, რეისები ხორციელდება შეფერხების გარეშე		



ე) კეთილმოწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
0207			1923,164
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების დაპარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია დააგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნა, შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი, მოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა		

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
020701			1080,573
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა 2022-2025 წლებში მოხდება არსებული სკვერების რეაბილიტაცია საჭიროების მიხედვით და ასევე სოფლებში ახალი სკვერების მოწყობა მოსახლეობისათვის დასვენების ადგილების უზრუნველსაყოფად		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია სკვერების და პარკების მოწყობა, რეაბილიტაცია, შედეგად შექმნილია დასვენების და გართობის ახალი კერები		

ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
0209			1362.104 მ.შ. ადგილობრივი -109.228, ტრანსფერი-1252.877
პროგრამის აღწერა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებული სახელმწიფო ტრანსფერით და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობასთან კონსულტაციებით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება. არსებულ ეტაპზე ტრანსფერის თანხა: ა) 20876,63 ლარი -საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის №168 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი. ბ) 1 232 000 ლარი -საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №277 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერი		

12. მე-13 მუხლის მესამე პუნქტის ცხრილი და „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	რიგბოვნობა	2022 წელი			2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
			სულ	ადგილობრივი	ტრანსფერი			
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	376	4270,0	4270,0	0,0	3000,0	3500,0	3500,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია,მშენებლობა		724,6	247,6	477,0	1462,2	3762,8	8027,2



04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	800,8	62,0	738,8	72,0	72,0	72,0
04 03 01	პედაგოგთა დახმარება	62,0	62,0	0,0	72,0	72,0	72,0
04 03 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	738,8	0,0	738,8	0,0	0,0	0,0
	სულ პრიორიტეტი	5795,4	4579,6	1215,9	4534,2	7334,8	11599,2

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			4270,0
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში სულ 3000 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 14 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 2749 ბავშვის სწავლება, მათ შორის 1161 გოგო, 1373 ბიჭი. ხოლო 251 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს აიპ "საბავშვო ბაღების გაერთიანება". სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 350 თანამშრომელი, მათ შორის 68 აღმზრდელი და 68 თანამშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.</p>		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება სასკოლოდ		

13. მე-13 მუხლის მეოთხე პუნქტის ცხრილი და „ა“, „ა.ა“, „ა.გ“, „ბ“ და „ბ.ა“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	რიცხოვნობა	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი		
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	83	3142,0	3142,0	0,0	4920,7	2625,0	2625,0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	83	1979,7	1979,7	0,0	1600,0	1600,0	1600,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები		60,0	60,0	0,0	25,0	25,0	25,0
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა		1102,2	1102,2	0,0	3295,7	1000,0	1000,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	102	2234,0	2234,0	0,0	3083,5	1495,0	1495,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	102	1522,4	1522,4	0,0	1150,0	1150,0	1150,0
05 02 02	კულტურის სფეროს ღონისძიებები		291,6	291,6	0,0	135,0	135,0	135,0
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა		0,0	0,0	0,0	1588,5	0,0	0,0
05 02 04	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა		420,0	420,0	0,0	210,0	210,0	210,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა		110,0	110,0	0,0	110,0	110,0	110,0
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა		145,0	145,0	0,0	86,0	86,0	86,0
	სულ პრიორიტეტი	185	5631,0	5631,0	0,0	8200,2	4316,0	4316,0



ა) სპორტის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01			3142,0
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2022 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 1600 სპორტსმენს; პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;		

ა.ა) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01			1979,7
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ააიპ "სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 21 სპორტის სახეობის მიმართულებით 30 სპორტულ ობიექტზე 65 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (12 დან - 25 წლამდე) 2000-ზე მეტ ბენეფიციარს. გახსნილია სპორტული წრეები შემდეგი მიმართულებით: ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, ფეხბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, მიუდო, კალათბურთი. თავისუფალი ჭიდაობა, ტაიკვანდო, კიკ-ბოქსინგი, კრივი, აკრობატკა, ძალისმიერი სამჭიდი, ბატუტზე ხტომა, ათლეტიზმი, მკლავჭიდი, მშვილდოსნობა, ფრენბურთი, ჯიუ-ჯიტუ, რაგბი, კარატე.</p> <p>სკოლა გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში;</p> <p>სკოლა გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ასევე ხელს უწყობს მის დაწესებულებას და პოპულარიზაციას; სკოლა ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს და ახორციელებს მათ სტიპენდირებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ფარგლებს გარეთ. სპორტსკოლა არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორცაა სკოლაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა. სკოლის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. სპორტული დარბაზის მოვლა შენახვა, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თანხების, სიგელების, ჯილდოების, ბანერების, ვიდეო და ბეჭდვითი რეკლამების დამზადებისა და სხვა საქმიანობის წარმოება. სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შექმნა. მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით სპორტსმენების ეროვნული და საერთაშორისო ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. სპორტსმენების ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა. ადგილობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზების მოწყობის ხარჯები.</p> <p>სარაკბო კლუბ-მარნეულის "არმაზის" ხელშეწყობა, რაგბის პოპულარიზაცია და სარაკბო საბავშვო სექციების განვითარება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში.</p>		
